

წამახალისებელი გათამაშების „წესები და პირობები“

“შექმენი დაუჯერებელი მოგზაურობის ისტორია“

Mastercard-ის წამახალისებელი გათამაშების (შემდგომში „გათამაშება“) ჩატარების წესები და პირობები (შემდგომში „წესები“) განსაზღვრავს მონაწილეობის, საპრიზო ფონდის და გამარჯვებულთა გამოვლენის ზოგად წესებს.

გათამაშების დამკვეთი და ორგანიზატორი

გათამაშების დამკვეთი: Mastercard Europe SA (შემდგომში „დამკვეთი“), რეგისტრირებული მისამართი: ბელგია, ვოტერლო 1410, შოსე დე ტერვუვენ 198ა.

გათამაშების ორგანიზატორი: საერთაშორისო სარეკლამო კომპანია „McCann Erickson“-ის ოფიციალური წარმომადგენლობა საქართველოში შპს „McCann Erickson“ (საიდენტიფიკაციო კოდი: 404882766), რომლის ქსელური კლიენტია (მსოფლიო მასშტაბით) კომპანია Mastercard და უწევს მას სარეკლამო და საკომუნიკაციო მარკეტინგულ მომსახურებას. შპს „McCann Erickson“-ი არის Mastercard-ის წარმომადგენელი საქართველოში წამახალისებელი გათამაშების ჩატარების მიზნით. ორგანიზატორის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. # 71, IV სართული.

გათამაშების პარტნიორები:

საქართველოში Mastercard-ის ბარათის მწარმოებელი ფინანსური ორგანიზაციები, ბარათის მწარმოებელი პარტნიორი ბანკები (შემდგომში „პარტნიორები“):

1. სს „საქართველოს ბანკი“ ს/კ 204378869 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (BOG)
2. სს „ქართუ ბანკი“ ს/კ 204891652 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (CRT)
3. სს „ხალიკ ბანკი“ ს/კ 205236537 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (HBG)
4. სს „თიბისი ბანკი“ ს/კ 204854595 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (TBC)
5. სს „ვითობი ბანკი“ ს/კ 202906427 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (VTB)
6. სს „ლიბერთი ბანკი“ ს/კ 203828304 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (LYB)
7. სს „პროკრედიტ ბანკი“ ს/კ 204851197 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (PCR)
8. სს „ბაზისბანკი“ ს/კ 203 841 833 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: BSB)
9. სს „ტერაბანკი“ ს/კ 204546045 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (TER)
10. სს „იშბანკი“ ს/კ 404496611 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (ISB)
11. სს „კრედიტ ბანკი“ ს/კ 205232238 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (CRD)
12. სს „ფაშა ბანკი“ ს/კ 404433671 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (PSH)
13. სს „ზირათ ბანკი“ ს/კ 404534170 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (ZRB)
14. სს „მისო ინტელექსპრესი“ ს/კ 202353176 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (INT)
15. შპს „ფეი უნიქარდი“ ს/კ 404519455 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (UNC)
16. შპს „მანიქო“ ს/კ 405272501 (მაიდენტიფიცირებელი აბრევიატურა: (MNQ)

გათამაშების მიზეზი:

Mastercard, როგორც „ლუკას ფილმის“ და „Star Wars“-ის ოფიციალური პარტნიორი, მხატვრული ფილმის „Star Wars: The Rise of Skywalker“-ის საპრემიერო ჩვენებასთან დაკავშირებით ათამაშებს საქართველოში გაცემული Mastercard-ის პერსონალური ბარათების მფლობელებისათვის ბრენდირებულ საჩუქრებს, კინოთეატრის ბილეთებსა და საგზურს ლონდონში.

გათამაშების მიზანი:

გათამაშების მიზანია Mastercard-ის პერსონალური ბარათების გამოყენების წახალისება.

გათამაშების ჩატარების ვადები:

გათამაშება ტარდება 2019 წლის 11 ნოემბრის 00:00:01 საათიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით, ხოლო გათამაშების გამარჯვებულის გამოვლენის საბოლოო თარიღია 2020 წლის 24 იანვარი 14:00 საათი. შესაბამისად

გათამაშების მთლიანი პერიოდია: 2019 წლის 11 ნოემბრის 00:00:01 საათიდან საბოლოო გათამაშებამდე 2020 წლის 24 იანვრის 14:00 საათის ჩათვლით.

გათამაშების ეტაპები:

- პირველი ეტაპი - 11.11.19 00:00:01 საათიდან - 27.11.19 23:59:59 საათის ჩათვლით;
- მეორე ეტაპი - 28.11.19 00:00:01 საათიდან - 15.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით;
- მესამე ეტაპი - 16.12.19 00:00:01 საათიდან - 31.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით;
- მეოთხე მთავარი ეტაპი - 11.11.19 00:00:01 საათიდან - 31.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით.

გათამაშების ჩატარების ადგილი:

საქართველო, როგორც საქართველოში გაცემული Mastercard-ის ბარათებით განხორციელებული ადგილობრივი და საერთაშორისო ტრანზაქციების საბოლოო შედეგის დაფიქსირების ადგილი (საქართველოში გაცემული „Mastercard-ის“ ბარათებით მსოფლიოს ნებისმიერ სავაჭრო და მომსახურების ადგილებში გატარება/გამოყენების საბოლოო აღრიცხვიანობა ხდება საქართველოს შესაბამის საბანკო სისტემაში).

გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლების მქონე პირები:

საქართველოს მოქალაქე, რომელსაც შეუსრულდა 18 წელი (შემდეგში „გათამაშების მონაწილე“) და ფლობს საქართველოში გაცემულ Mastercard-ის ბრენდის (მათ შორის Mastercard®, Debit Mastercard® and Maestro®) ბარათს (შემდეგში „ბარათი“) და გათამაშების პერიოდში განახორციელებს 10 ლარის და ზემოთ ტრანზაქციას საქართველოში გაცემული ბარათით POS ტერმინალებზე და ასევე ონლაინ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ და სრულიად ეთანხმება “წესებს”

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად არ დაიშვებიან

- 18 წლამდე ასაკის ფიზიკური პირები
- არა-რეზიდენტი პირები
- დამკვეთისა და ორგანიზატორის თანამშრომლები
- აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირები, რომლებსაც ეკრძალებათ გათამაშებაში მონაწილეობის მიღება
- იურიდიული პირები

გათამაშების საპრიზო ფონდი

გათამაშების საპრიზო ფონდი ითვალისწინებს სამი სახეობის ბრენდირებულ საჩუქარს, კინოთეატრის პრემიერის ბილეთებს და საგზურს ლონდონში (შემდგომში - საჩუქარი):

პრიზების დასახელება	რაოდენობა	საცალო ღირებულება ლარში საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით	სულ ფასი საშემოსავლო გადასახადის ჩათვლით
ბრენდირებული მაისური	200 ცალი	86.25	17 250
ბრენდირებული ჰუდი	200 ცალი	152.5	30 500
ბრენდირებული ზურგჩანთა	200 ცალი	132.5	26 500
მხატვრული ფილმის „Star Wars: The rise of Skywalker“-ის პრემიერის ბილეთები	150 ცალი	23.75	3 562.5
მთავარი საჩუქარი: სამოგზაურო ვაუჩერი*	1 ცალი	29 075	29 075

გათამაშების საპრიზო ფონდის ოდენობა შეადგენს 106, 887.5 (ასექსიათას რვაას ოთხმოცდაშვიდი ლარი და 50 თეთრი) ლარს.

***სამოგზაურო ვაუჩერი:**

მოგზაურობა ლონდონში ორი ადამიანისთვის. სამოგზაურო ვაუჩერი ითვალისწინებს:

2020 წლის 2 აპრილიდან 2020 წლის 15 დეკემბრამდე პერიოდის განმავლობაში, შერჩევით და შეთანხმებით:

- ავიაბილეთები - 2 გზა- (თბილისი- ლონდონი- თბილისი) - 2 ადამიანზე
 - აეროპორტიდან/აეროპორტში ტრანსფერი
 - განთავსება სასტუმროში, საუზმით, ლონდონში 4 დამე
 - სამეფო ობსერვატორიაში პლანეტარიუმის შოუზე დასწრება - ერთი ვიზიტი
 - Madame Tussauds™ -ს მუზეუმის პრემიუმ საშვი - ერთი ვიზიტი
 - London Eye -ის პირადი კაბინით ქალაქის დათვალიერება ერთხელ
 - 1 სადილი Sky Garden-ში
 - სამოგზაურო დაზღვევა
- დაუშვებელია საჩუქარის შესაბამისი ფულადი საფასურის გაცემა და გამარჯვებულის მიერ საჩუქარის სხვისთვის გადაცემა, გარდა ოჯახის წევრისა (რომელშიც შედის: მეუღლე, მშობლები ან/და შვილები).
 - გათამაშების ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ აგებენ პასუხს გამარჯვებული პირის მიერ სამოგზაურო ვაუჩერის გამოყენებლობაზე, სავიზო პროცედურის ვერ/ არ გავლის/დაუკმაყოფილების გამო.
 - გათამაშების ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი პასუხს არ აგებს თუ მთავარი საჩუქარის მფლობელი დადგენილ ვადებში არ ისარგებლებს საჩუქარით. იმ შემთხვევაში, თუ მთავარი საჩუქარის მფლობელი დადგენილ ვადებში არ გამოიყენებს პრიზს, ის განულდება.
 - გათამაშების ორგანიზატორი კომპანია და დამკვეთი არ ანაზღაურებს პრიზების მიღება/გამოყენების რაიმე სხვა დამატებით ხარჯებს.
 - გათამაშების ორგანიზატორი და დამკვეთი არ უზრუნველყოფენ სამოგზაურო ვიზას, რაც მთავარი საჩუქარის მფლობელის პასუხისმგებლობაა.

გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფა

გათამაშების ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფისათვის გათამაშების ორგანიზატორი იყენებს ვებ-გვერდს Mastercard.com.ge გათამაშების მონაწილეთა ინფორმირებისათვის Mastercard-ის ვებ-გვერდზე განთავსდება გათამაშების წესები და პირობები.

გათამაშების ბილეთის მიღების პირობა

საქართველოს სრულწლოვანი (18+) მოქალაქე, რომელიც 2019 წლის 11 ნოემბრის 00:00:01 საათიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით პერიოდის განმავლობაში განახორციელებს 10 ლარის და ზემოთ ტრანზაქციას საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ პოს-ტერმინალებზე და ონლაინ შესყიდვებისას საქართველოში გაცემული Mastercard-ის ნებისმერი ბარათით, ყოველ ასეთ ერთ ტრანზაქციაზე ენიჭება ერთი ბილეთი და ხდება გათამაშების მონაწილე.

გათამაშების მონაწილეს, მის ანგარიშზე არსებული ბილეთების რაოდენობის გაგება შეუძლია კონკრეტული ბარათის საბანკო ამონაწერით: თითოეულ 10 ლარისა და ზემოთ ტრანზაქცია Mastercard-ის ნებისმერი ბარათით უტოლდება 1 (ერთი) ბილეთს.

გათამაშების გამარჯვებულების გამოვლენის წესები და პირობები:

პირველი სამი ეტაპის გამარჯვებულების გამოვლენის ზოგადი პირობები:

- შესაბამისი ეტაპის პერიოდში გათამაშების მონაწილის მიერ განხორციელებული თითოეული 10 ლარის და ზემოთ ტრანზაქციაზე გათამაშების მონაწილეს ენიჭება (უაქტიურდება) 1 ბილეთი.
- „პარტნიორები” ძირითადი გათამაშების მონაწილის მიერ ყოველ 10 ლარის და ზემოთ განხორციელებულ ტრანზაქციას ანიჭებენ მაიდენტიფიცირებელ კოდს და უზავნიან ორგანიზატორს Excel-ის ფაილში. მიღებულ მონაცემებს ორგანიზატორი ათავსებს Excel-ის ერთიან ფაილში და ანიჭებს მაიდენტიფიცირებელ კოდს

(“პარტნიორის“ და ტრანზაქციის მაიდენტიფიცირებელი სიმბოლოთა ერთობლიობა), რომელსაც დაიტანს ბილეთზე ბილეთის ნომერთან ერთად.

- სულ დაიბეჭდება 4,000,000 ცალი ბილეთი, ნუმერაციით 0 000 001-დან 4,000,000-ის ჩათვლით. წამახალისებელი გათამაშების ნებართვის პირობების (რეგლამენტის) შესაბამისად, გათამაშების აქტივობის მიხედვით, მოხდება გათამაშების ბილეთების დამზადება, ხოლო გათამაშების მიმდინარეობის შესაბამისად, საჭიროებისამებრ გაიზრდება დასაბეჭდი ბილეთების რაოდენობა იმ ოდენობამდე, რა ოდენობის ტრანზაქციაც განხორციელდება გათამაშების სრული პერიოდის განმავლობაში. ბილეთების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში ორგანიზატორი აცნობებს სსიპ „შემოსავლების სამსახურს“ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
- გათამაშების მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობის Mastercard-ის ბრენდის ნებისმიერი ბარათი. დამატებითი საბარათე ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცია ჩაითვლება ძირითადი საბარათე ანგარიშიდან შესრულებული ტრანზაქციის ტოლფასად.
- ყოველი ეტაპის ბოლოს, შესაბამისი ეტაპის პერიოდში გააქტიურებული ბილეთები გენერირდება, დაიბეჭდება და მოთავსდება დოლურაში.
- პირველი ეტაპის გათამაშებისას დოლურადან ამოღებული იქნება 350 ბილეთი, ხოლო მეორე და მესამე ეტაპზე - 200 ბილეთი და გათამაშდება შესაბამისი ეტაპის საჩუქარი შემთხვევითობის პრინციპით.

გათამაშების ეტაპები:

პირველი ეტაპი: 11.11.19 00:00:01 საათიდან - 27.11.19 23:59:59 საათის ჩათვლით, გათამაშების მონაწილეს, რომელიც Mastercard-ის ნებისმიერი ბარათით განხორციელებს 10 ლარის და ზევით ოდენობის ტრანზაქციას, ყოველი ასეთი ტრანზაქციისთვის მიენიჭება ერთი ბილეთი, რომლებიც დაიბეჭდება და გათამაშების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოთავსდება დოლურაში, **2019 წლის 11 დეკემბერს, 14:00 საათზე** მოხდება პირველი ეტაპის გათამაშება და გამარჯვებულთა გამოვლენა მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. (ჰონდას სერვის ცენტრის შენობაში) დოლურადან ამოღებული იქნება 350 ბილეთი, აღნიშნული ბილეთის მონაცემები გადაეგზავნება შესაბამის “პარტნიორს”საკონტაქტო ინფორმაციის (სახელ, გვარი და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი) მოსაპოვებლად. დოლურადან ამოღებული ყველა ბილეთი მიიჩნევა მოგება-ხვედრილად. პირველი 200 ბილეთის მფლობელი მიიღებს 200 ცალ ბრენდირებულ მაისურს, ხოლო 201-დან 350 -ის ჩათვლით ბილეთის მფლობელი მიიღეს კინო ბილეთს 19 დეკემბრის პრემიერაზე: „Star Wars: The rise of Skywalker“. პირველ ეტაპზე სულ გათამაშდება 350 ცალი საჩუქარი.

პირველი ეტაპის გაუთამაშებელი ბილეთები ამოღებული იქნება დოლურადან, დაილუქება და შეინახება მე-4 მთავარი ეტაპის გათამაშებამდე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა ეტაპზე გააქტიურებული ბილეთები, გარდა მოგებახვედრილი ბილეთებისა.

მეორე ეტაპი: 28.11.19 00:00:01 საათიდან - 15.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით, გათამაშების მონაწილეს, რომელიც Mastercard-ის ნებისმიერი ბარათით განხორციელებს 10 ლარის და მეტი ოდენობის ტრანზაქციას, ყოველი ასეთი ტრანზაქციისთვის მიენიჭება ერთი ბილეთი, რომლებიც დაიბეჭდება და გათამაშების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოთავსდება დოლურაში, **2019 წლის 27 დეკემბერს 14:00 საათზე** მოხდება მეორე ეტაპის გათამაშება და გამარჯვებულთა გამოვლენა მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. (ჰონდას სერვის ცენტრის შენობაში) დოლურადან ამოღებული იქნება 200 ბილეთი, აღნიშნული ბილეთის მონაცემები გადაეგზავნება შესაბამის “პარტნიორს” საკონტაქტო ინფორმაციის მოსაპოვებლად. დოლურადან ამოღებული ყველა ბილეთი მიიჩნევა მოგება-ხვედრილად. თითოეული გამარჯვებული „გათამაშების მონაწილე“ მიიღებს ბრენდირებულ ჰუდის. მეორე ეტაპზე სულ გათამაშდება 200 ცალი საჩუქარი.

მეორე ეტაპის გაუთამაშებელი ბილეთები ამოღებული იქნება დოლურადან, დაილუქება და შეინახება მე-4 მთავარი ეტაპის გათამაშებამდე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა ეტაპზე გააქტიურებული ბილეთები, გარდა მოგებახვედრილი ბილეთებისა.

მესამე ეტაპი: 16.12.19 00:00:01 საათიდან - 31.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით, გათამაშების მონაწილეს, რომელიც Mastercard-ის ნებისმიერი ბარათით განხორციელებს 10 ლარის და მეტი ოდენობის ტრანზაქციას, ყოველი ასეთი ტრანზაქციისთვის მიენიჭება ერთი ბილეთი, რომლებიც დაიბეჭდება და გათამაშების ამ ეტაპის დასრულების შემდეგ მოთავსდება დოლურაში, **2020 წლის 21 იანვარი, 14:00** საათზე მოხდება მესამე ეტაპის გათამაშება და გამარჯვებულთა

გამოვლება მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. (ჰონდას სერვის ცენტრის შენობაში) დოლურადან ამოღებული იქნება 200 ბილეთი, აღნიშნული ბილეთის მონაცემები გადაეგზავნება შესაბამის “პარტნიორს” საკონტაქტო ინფორმაციის მოსაპოვებლად. დოლურადან ამოღებული ყველა ბილეთი მიიჩნევა მოგებახვედრილად. პირველი 200 ბილეთის მფლობელი მიიღებს 200 ცალი ბრენდირებული ზურგჩანთას. მესამე ეტაპზე სულ გათამაშდება 200 ცალი საჩუქარი.

მესამე ეტაპის გაუთამაშებელი ბილეთები ამოღებული იქნება დოლურადან, დაილუქება და შეინახება მე-4 მთავარი ეტაპის გათამაშებამდე, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ყველა ეტაპზე გააქტიურებული ბილეთები, გარდა მოგებახვედრილი ბილეთებისა.

გამარჯვებულთან დაკავშირება მოხდება გამოვლენიდან 2 სამუშაო დღის განმავლობაში და გამარჯვებულები პრიზებს მიიღებენ გამარჯვებულად გამოვლენიდან 30 სამუშაო დღის განმავლობაში.

მეოთხე, მთავარი ეტაპის გამარჯვებულების გამოვლენა:

მეოთხე, მთავარ ეტაპში მონაწილეობას იღებს პირველი სამი ეტაპის განმავლობაში გააქტიურებული ბილეთები, გარდა მოგებახვედრილი ბილეთებისა.

მეოთხე მთავარი ეტაპი - 11.11.19 00:00:01 საათიდან - 31.12.19 23:59:59 საათის ჩათვლით პერიოდში გააქტიურებული და გათამაშების პირველი სამი ეტაპის განმავლობაში მიღებული ბილეთები მოთავსდება დოლურაში და **2020 წლის 24 იანვარს, 14:00 საათზე**, მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ (ჰონდას სერვის ცენტრის შენობაში) გაიმართება მთავარი გათამაშება და გამარჯვებულის გამოვლება. დოლურაში თავსდება პირველი სამი გათამაშების დალუქული ბილეთები შემდეგ დოლურადან ამოღებული და დალუქული ბილეთები.

გამარჯვებულის გამოვლენას დაესწრება Mastercard-ის კომპანიის ორგანიზატორები და მესამე პირები (ორგანიზატორთან არა-ურთიერთდამოკიდებული პირი/პირები).

მთავარი საჩუქარის გათამაშების ჩატარების მექანიკა:

- საქართველოს მოქალაქე, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე „გათამაშების წესებით“ დადგენილ მოთხოვნებს და რომელიც საქართველოში გაცემული Mastercard-ის ნებისმიერი ბარათით განახორციელებს 10 ლარის და ზემოთ ტრანზაქციას საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში განლაგებულ პოს-ტერმინალებში და ონლაინ შესყიდვების მეშვეობით, 2019 წლის 11 ნოემბრის 00:00:01 საათიდან - 2019 წლის 31 დეკემბრის 23:59:59 საათის ჩათვლით, ხდება გათამაშების მონაწილე. გათამაშების პერიოდის განმავლობაში ტრანზაქციათა რაოდენობა შეუზღუდავია და დამოკიდებულია „გათამაშების მონაწილეთა“ აქტიურობაზე.
- ყოველ ერთ - 10 ლარზე და ზემოთ განხორციელებულ ტრანზაქციაზე გათამაშების მონაწილეს ენიჭება ერთი ბილეთი და საჩუქარის მოგების შანსი.
- გათამაშების მონაწილეს შეუძლია გამოიყენოს ნებისმიერი რაოდენობის Mastercard-ის ბრენდის ნებისმიერი ბარათი. დამატებითი საბარათე ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქცია ჩაითვლება ძირითადი საბარათე ანგარიშიდან შესრულებული ტრანზაქციის ტოლფასად.
- დოლურადან ამოღებული ერთი ბილეთი იღებს მთავარ პრიზს: სამოგზაურო ვაუჩერს. აღნიშნული ბილეთის მონაცემები გადაეგზავნება შესაბამისი “პარტნიორს” საკონტაქტო ინფორმაციის მოსაპოვებლად. დოლურადან ამოღებული ბილეთი აღიარებული იქნება გამარჯვებულად, მიუხედავად იმისა, მოხდება თუ არა გამარჯვებულთან დაკავშირება.
- გამარჯვებულის შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდება გათამაშებიდან 2 დღის განმავლობაში ვებ-გვერდზე: Mastercard.com.ge
- გამარჯვებული უნდა გამოცხადდეს საჩუქარის მისაღებად გათამაშებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში პირადობის დამადასტურებელი მოწმობით.
- გამარჯვებულს საჩუქარი უნდა გადაეცეს პირადობის მოწმობის წარდგენიდან არაუგვიანეს 6 (ექვსი) კალენდარული დღისა.

- მოგზაურობის დასაგეგმად გამარჯვებული უნდა დაუკავშირდეს ორგანიზატორს და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია მოგზაურობის დასაგეგმად.
- გათამაშებაში მონაწილეობის მიღება ნებაყოფლობითია. მონაცემთა დაცვის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად იხ. გათამაშების პირადი მონაცემების დაცვის შესახებ განცხადება: <https://www.Mastercard.com.ge/ka-ge/about-Mastercard/what-we-do/privacy.html>
- გათამაშების მონაწილის პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი და ტელეფონის ნომერი, გამოყენებული იქნება მხოლოდ გათამაშების მიზნებისთვის და წაიშლება გათამაშების დასრულებიდან 3 თვის შემდეგ.

გათამაშებაში მონაწილეობას არ იღებს:

- ბანკომატიდან თანხის გატანა;
- თანხის გადარიცხვა ბარათის ანგარიშიდან სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის ანგარიშზე
- სატელეფონო ანგარიშის შევსებით განხორციელებული ტრანზაქცია;
- კომუნალური გადასახადებისათვის შესრულებული ტრანზაქცია;
- ნებისმიერი სახის აზარტული თამაშებისთვის განხორციელებული ტრანზაქცია

ზოგადი დებულებები

- გამარჯვებულებს პრიზები გადაეცემა პირადობის მოწმობის წარდგენისა და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. პრიზებს ორგანიზატორი გასცემს შემდეგ მისამართზე: ვაჟა-ფშაველას #71, მე-4 სართული, ოფისი №26, თბილისი 0186, საქართველო.
- გათამაშებასთან დაკავშირებული პრეტენზია განიხილება გათამაშების დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71 მე-4 სართული ოფისი 26.